

## აბდულჰაქ ჰამიდ თარჰანი

გამოჩენილი თურქი პოეტი (1852—1937). მისი ნაწარმოებები მიმართულია სულთნის ხელისუფლებისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იგი თურქული ლექსის ნოვატორია, მან პოეზიაში დაამკვიდრა ეროვნული ლექსთწყობა „ჰეჯე“. აბდულჰაქ ჰამიდის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვრცელ ლირიკულ პოემას „სამარე“ („მაკბერ“), რომელშიც შესანიშნავი სახეებითა და ფერებით წარმოდგენილია მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული განუსაზღვრელი მწუხარება და სულიერი აფორიაქება. ამ პოემიდან აქ მოცემულია ეპიტაფია და მხოლოდ რამდენიმე სტროფის თავისუფალი თარგმანი.

### ს ა მ ა რ ე

ეპიტაფია: ეჰ, მკითხველო, სიკვდილის ბრჭყალებთან ბრძოლაში უმწეოა მოხუცი და ახალგაზრდაც. სასაფლაო პირამდე სავსეა მიწის მტვრადქცეულთა ღვთიური იდუმალებით. აი, ამ ადგილას დამარხენ აბდულჰაქ ჰამიდის თვალისჩინი მეუღლე ფატმა. განსვენებული იყო ობოლი ფირიზადეთა საგვარეულოდან. თავისი სიცოცხლის გაზაფხულზე იგი ქლექის სნეულებამ შეიპყრო და საწუთრო დატოვა. და ეს გულსაკლავი არსება ახლა დაყუჩებული სულია, რომელიც შენგან შენდობას ითხოვს.

სამშაბათი, ბეირუთი, 1303 წლის 6 რეჯებს [= 10.IV.1886].

1. ვაგლახ, არ დამრჩა არც ადგილი, არც მეგობარი, ამევსო გული მოთქმით და ზარით, ახლა აქ იყო, გამომეცალა ხელიდან. უსასრულობიდან მოსული მარადისობაში გადასახლდა.
2. მე წამოვედი, ის კი დარჩა შავ სამარეში, დარჩა ეულად, განმარტოებით. ვაი, რომ ჩემი სულის მეგობრისაგან მხოლოდლა დარჩა ბეირუთში ცივი სამარე.
3. სადლა ვეძებო ის გულწარმტაცი, ვის მოვკითხო მე ის ბედშავი? მაუწყე, უფალო, სად არის იგი, სად? ვინ ჩამავდო ამ ვაებაში, ვინ, მეუფეო?

4. გამოდი, ფატმა, მაგ ლოდოდან და აღიდგინე სანუკვარი ეგე სი-  
ცოცხლე. ნუ მალავ ხვაშიადს, თქვი ერთი სიტყვა. ოჰ, როგორ  
მინდა ის ერთი სიტყვა!
5. ვარდის ღიმილი შემომაგებე, უწამლე რამე დადალულ გულს,  
მიზანი მიეც! შენი ტკბილი გამოხედვით, ნაზი ღიმილით სრულ-  
ჰყავ დღეები ჩემი სიცოცხლის.
6. შენ თუ ვარდი ხარ უეკლო, სიცოცხლე ხარ ლალი და სვიანი,  
რად მინდა მე ეს ქვეყანა მდელომოსილი, რას ვაქნევ მე ამ ქვე-  
ყანას თუნდაც უმდელიად.
7. არ ვიცი, საიდან მოდის ამოდენა ვაი-ვაგლახი, საიდანაა ეს მოძა-  
ლება. ზეცაზე ვხედავ კაეშნის მორევთა მძვინვარებას და ათრთო-  
ლებული ხელები აპყრობილი მაქვს ლოცვად.
8. წამოვიდეს მერეხად ყველაფერი, რაც აბადია სამყაროს, ოღონდ  
დაირღვეს ეს სამარისებური სიჩუმე. დადგეს ცხოველთა და  
მკვდართა განსჯის დღე! მტვრად ქცეული დაემზოს სამარეს ყო-  
ველივე და შეასკდნენ ერთმანეთს მნათობები, ნამსხვრევებად  
წამოვიდნენ ძირს!
9. ჩემი მეგობარი იყო იგი და რაყიფი არ ჰყავდა, მომეველინა სუ-  
ლის მკურნალად. ახლა აღარ მყავს იგი ნუგეშად, ეს არის ჩემი  
ტანჯვა-ვაება.
10. ღმერთო, მოვკვდე თუ რა ვიღონო? როგორ ვიცოცხლო სატრფო-  
საგან განშორებულმა? შენგან მოგვრილმა უბედურებამ სიყვარუ-  
ლის მტრად მაქცია მე.
11. განა არ სწყალობ მონას შენსას? ანდა არ არის ნაადრევი ნუთუ  
სიკვდილი? მე ის დავკარგე, ველარ ვიხილავ და მერე როდის?  
როცა მისდაჰი მაჯნუნის სიყვარულით ვიწვოდი.
12. ფატმა, წახვედი, ვით იქნების გული ჩემი აწი უშენოდ? რაიც  
მომელის — სიკვდილი, სიცოცხლე თუ აგონია. დაე, მოვიდეს ყო-  
ველივე, ოღონდ გათავდეს, შეიცვალოს ეს მძიმე ყოფა!